



ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან

ფასი 40 თეთრი

ყვარლის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ ახალგაზრდული ინიციატივების განვითარებისა და დასაქმებისათვის ბიუჯეტიდან 200 ათას ლარამდე გამოყო



ვზიქრობ პროექტი კარგ განვითარებას ჰკოვებს და საშუალებას მისცემს ახალგაზრდებს არ წავიდნენ მუნიციპალიტეტიდან...

ყვარლის მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყვარლის ადგილობრივმა ხელისუფლებამ ახალგაზრდებისათვის სპეციალური პროგრამა დაიწყო და მისი განხორციელების მიზნით ბიუჯეტიდან 200 ათას ლარამდე გამოყო.

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ დავით ქვეციანი ვახუშტის ინფორმაცია მოეწოდებინა ადგილობრივი გაზეთისათვის, რათა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები დეტალურად გაერკვნენ პროექტში, რომელიც სპეციალურად შეიქმნა მათთვის.

– ბატონო დავით, კერძოდ რას გულისხმობს პროექტი, რომელიც სპეციალურად ახალგაზრდებისთვისაა გათვალისწინებული?
– მოგესხებება უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად იმატა დასავლეთის ქვეყნებში როგორც ყვარლის მუნიციპალიტეტიდან, ისე ქვეყნიდან წამსვლელთა რიცხვმა. ქვეყანა იცლება გენოფონდისაგან და დღეისათვის ახალგაზრდების მიგრაციის შეჩერება უდიდეს პრობლემად წარმოჩნდა.

ყვარლის მუნიციპალიტეტიდან ახალგაზრდობის გადინება არ ჩამორჩება ქვეყნის მასშტაბს და აქედან წამოვიდა იდეა, რომ პრობლემის გადასაწყვეტად

მიგველო ახალგაზრდული სტრატეგიის პროგრამა.

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და მერამ შეიმუშავა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდების ხელშეწყობას დასაქმების კუთხით. ამისათვის ბიუჯეტიდან გამოყავით 200 ათასი ლარი, რომლითაც მოხდება როგორც კერძო ინიციატივების დაფინანსება, ასევე ახალგაზრდებს საშუალება მიეცემათ სხვადასხვა პროექტებში ჩაერთონ.

პროექტის ნარმატივით განხორციელებისათვის საკრებულოში შექმენით სამუშაო ჯგუფი, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ. მერიიდან კი ჩართულია მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი როსტომ სესიაშვილი მერიის სამსახურებთან ერთად.

ვეფიქრობ პროექტი კარგ განვითარებას ჰპოვებს და საშუალებას მისცემს ახალგაზრდებს არ წავიდნენ მუნიციპალიტეტიდან, დასაქმდნენ აქ და თავის რეალიზება აქ მოახდინონ. დარწმუნებული ვარ ამ გამოწვევას აუცილებლად გავუმკლავდებით, რადგანაც ახალგაზრდების ჩართულობა ამ კუთხით მნიშვნელოვანია.

პროექტი არის მასშტაბური და ამავე დროს ინდივიდუალურად მორგებული თითოეული ახალგაზრდის შესაძლებლობაზე.

– რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ახალგაზრდა, რომ ამ პროექტში ჩართვა შეძლოს და როგორი სახის იდეას ან ინიციატივას დაუფინანსებთ?

– ჩვენ დაგეგმილი გვაქვს ეტაპობრივად შეხვედრები გაემართოს სოფლებში, გავაცნოთ პროექტის შინაარსი და მოთხოვნები ახალგაზრდებს. შემდგომ მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში მივიღებთ ონლაინ აპლიკაციებს და მის შემდეგ მოხდება იდეების კლასიფიკაცია. სამუშაო ჯგუფი გაფართოებულ ფორმატში განვიხილავთ (ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ იდეის ავტორებმა და დაინტერესებულმა პირებმა) და მივიღებთ გადაწყვეტილებას ვის რა ფორმით დავეხმაროთ.

– კონკრეტულად რისი გაკეთება შეუძლიათ ახალგაზრდებს?

– პროექტით გათვალისწინებულია თვრამეტეტიდან ოცდაათ წლამდე ასაკის ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა. ამაში იგულისხმება გაკრეველი პერიოდით შრომის ანაზღაურების ნაწილში თანდაფინანსება, კერძო კომპანიებთან დასაქმების მიზნით რეკომენდაციების განცევა.

სოფლის მეურნეობის სფეროში ახალგაზრდების ჩართულობისა და დასაქმების მიზნით ხელისუფლებამ სხვადასხვა სახის პროექტები დაფინანსა,



რომლის შესახებ ბევრმა არ იცის. ჩვენი სამუშაო ჯგუფი გაუწევს კონსულტაციებს, დაეხმარება დოკუმენტების მომზადებაში და რეკომენდაციას გაუწევს შესაბამის სამსახურთან.

აგრო და ტურიზმის სფეროში მათი ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის მიზნით დაფინანსებთ მათი გადაზიდვების ხარჯებს.

ჩვენ კონკრეტულ მიმართულებას არ მივცემთ რა სახის საქმიანობა წამოიწყოს, თვითონ პიროვნებაზე იქნება დამოკიდებული ბიზნესის რა მიმართულება აირჩიოს.

– თქვენი ინიციატივით ახალგაზრდებთან პირველი შეხვედრები გაიმართა, როგორია მათი დაინტერესება პროექტის მიმართ?

– შეხვედრები გაიმართა ყვარელში, შილადაში, გავაზში და ახალსოფელში მცხოვრებ ახალგაზრდებთან. პროექტთან დაკავშირებით ახალგაზრდებმა გამოხატეს დიდი ინტერესი. მიმდინარეობს განცხადებების რეგისტრაცია. შემდეგ მოხდება გასაუბრება აპლიკანტებთან და სამოქმედო გეგმის შესაბამისად წარმართება შემდგომი ღონისძიებები.

– გმადლობთ ბატონო დავით, მნიშვნელოვანი სიახლის წამოწყებისთვის, იმედია პროექტი მუნიციპალიტეტიდან ახალგაზრდების მიგრაციის შეჩერებას და ისინი საკუთარი ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში აქტიურად ჩაერთვებიან.

ესაუბრა
ალექსანდრა გიბილოშვილი





ხაბეები და მაცურებელთა სკამები. დარბაზის გამოყენება ასევე შესაძლებელი იქნება სხვადასხვა საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიებებისთვის (ლექცია, დისკუსია, კონცერტი და სხვა).

ახალსოფელი მრავალპროფილური სპორტული კომპლექსის მშენებლობა წარმატებით მიმდინარეობს

ყვარლის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის თემი ერთ-ერთი დიდი დასახლებაა, რომელშიც რამდენიმე სოფელი შედის. მხოლოდ სოფელ ახალსოფელში ცხოვრობს 5756 მოსახლე. მათ შორის 500-ზე მეტი ახალგაზრდაა. სამწუხაროდ თემის დასახლებაში არ არის სპორტული დარბაზი, სადაც ახალგაზრდები შეძლებდნენ სახვადსხვა სპორტულ აქტივობებში ჩართვას. მოსახლეობა დიდი ხანია ითხოვს ახალგაზრდებისთვის სპორტული დარბაზის მშენებლობას, რაც ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ახალგაზრდებში. სპორტული დარბაზი მოემსახურება მილიან თემს.

პროექტის მიზანია ახალგაზრდებისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, პროექტის ფარგლებში იგეგმება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მულტიფუნქციური სპორტული დარბაზის მშენებლობა. შენობის პარამეტრები: 50 მ x 20 მ, შენობაში მოეწყობა მოედანი, რომელიც გამოყენებული იქნება: მინი ფეხბურთისთვის, კალათბურთისთვის, ფრენბურთისთვის და სხვა. ასევე მოეწყობა გასახლეები, სამ-

ბის მიმდინარე სამუშაოები საქართველოს პარლამენტის ლაგოდეხისა და ყვარლის მაჟორიტარმა დეპუტატმა გურამ მაჭარაშვილმა, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით ქვეციშვილმა, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ სესიაშვილმა, საკრებულოსა და მერიის თანამშრომლებთან ერთად მოინახულეს.



ყვარლის 5 პარსკვლავიანი სასტუმრო აშენდება



ყვარლის მუნიციპალიტეტში, შპს „ინდეკო“ და შპს „ინვინო“ ახალი სასტუმრო კომპლექსისა და თანამედროვე ხელოვნების გალერეის მშენებლობას იწყებენ. ერთობლივი ინვესტიცია, რომელიც ჯამში, 40 მილიონ ლარს გადააჭარბებს მოიცავს 5 ვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობას და მენეჯმენტს, მიმდებარე ბუნებრივი ლანდშაფტის რეაბილიტაციას და მონესრიგებას, თანამედროვე ხელოვნების გალერეის მშენებლობას, მისი ექსპონატებით და კომპლექტებას და მართვას.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობასთან შეხვედრები მიმდინარეობს

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მთიანეთში, ბალოჯიანსა და ახალსოფელში მოსახლეობასთან შეხვედრები გაიმართა, სადაც გამოიკვეთა სოფლისთვის ის ძირითადი და მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც აღნიშნული პროგრამის ფარგლებში უნდა გაკეთდეს:

- სასემლი წყლის ქსელის რეაბილიტაცია;
- შიდა საუბნო გზების მოხრეშვა;
- სკვერებისა და სტადიონების კეთილმოწყობა;
- საბავშვო ბაგა-ბაღების ნაწილობრივი რეაბილიტაცია.



მილოცვა

ბატონ ალექსანდრა კანელაშვილს!

ძვირფასო მეგობარო და ახლობელო, გულწრფელად გილოცავთ იუბილეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ბედნიერ მომავალს უმშვენიერეს ცოლშვილთან ერთად.

უფალი გვარავდეს.

მეგობრები, ახლობლები



ევროკლუბის საქმიანობა კიდევ უფრო აქტიური და საინტერესო გახდა

მას შემდეგ, რაც „ყვარლის ევროკლუბი – ილიას გზით ევროპაში“ ოფიციალურად გაიხსნა, იგი აქტიურ საქმიანობას ეწევა და მრავალი საინტერესო ღონისძიებების, შეხვედრების, დისკუსიების და სხვა აქტივობების მომსწრე გახდა ყვარელი. დაიწყო იქიდან, რომ დეკემბრის ბოლოს ყვარლის ევროკლუბს თურქეთის ელჩი, ფატმა სერენ იაზგაიჯ ეწვია. გულთბილი შეხვედრა შატო ყვარელში გაიმართა. კლუბის წევრებმა და ელჩმა დისკუსია გამართეს თურქეთ-საქართველოს ურთიერთობაზე, კულტურაზე, ლიტერატურაზე და სხვა თემებზე. განსაკუთრებულად დასამახსოვრებელი მომენტი იყო ის, რომ შეხვედრის დასრულების შემდეგ, ოფიციალურ მიღებაზე თურქეთის ელჩმა, გია ყანჩელის ყვითელი ფოთლები ტრიო „თოლიასთან“ ერთად შეასრულა.

ნი უნევა, მომხსენებლებად მართლმსაჯულების გაძლიერების ცენტრის, სამართლიანი არჩევნების, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსა და მედიის განვითარების ფონდის ხელმძღვანელები იყვნენ.

24 იანვარს, ევროკლუბმა ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის წარმომადგენელს, საქართველოში ამერიკის საელჩოს ადგილობრივი სამართლებრივი მრჩევლის, მაიკლ გრანტის საჯარო ლექცია უმსახპინძლა, თემაზე: „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა“. მაიკლ გრანტი ხელმძღვანელობს სისხლის სამართლის სექტორის განვითარების პროგრამებს. აღნიშნული პროგრამები მოიცავს საკანონმდებლო, სტრუქტურული და პრაქტიკული უზარჩვევების განვითარების საკითხებს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკისა და სტანდარტების გამოყენებით. მაიკლ

21 იანვარს, ევროკლუბი ნატოს სამეკავშირე ოფისის მიწვევით თბილისში, ნატოს სამეკავშირე ოფისში იმყოფებოდა. ყვარლის ევროკლუბის წევრები, ნატოს სამეკავშირე ოფისის ხელმძღვანელის მოადგილეს, ქალბატონ პირიტ პიკერსა და პოლიციის გინტარას ბაგდონას, ნატოს სამხედრო მეკავშირე ოფიცერს შეხვედნენ. შეხვედრაზე განხილულ იქნა ნატო-საქართველოს პარტნიორობა სხვადასხვა მიმართულებით. შეხვედრის დასრულების შემდეგ ევროკლუბის წევრები საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმს ესტუმრნენ, სადაც გაეცნენ დამოუკიდებელი საქართველოს ბოლშევიკური რუსეთის მიერ ოკუპაცია-ანექსიისა და ანტისოკუპაციო, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის ამსახველ მნიშვნელოვან დოკუმენტებსა და ფოტომასალას, ასევე დაათვალიერეს აღნიშნული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეთა მემორიალური ნივთები და მათ მოღვაწეობასთან დაკავშირებული მასალა. ევროკლუბის წევრებს ასევე, მიანოდეს ინფორმაცია 1920-იან-1940-იანი წლების „ნათელი ტერორის“ დროს დახურვტილ და გადასახლებულ მამულიშვილთა, ქართული ეკლესიის და სასულიერო მოღვაწეთა სასტიკი დევნისა და სხვა რეპრესიების შესახებ.



მართლმსაჯულების გაძლიერებისა და სამართლებრივი განათლების ცენტრის მიწვევით, ევროკლუბის წევრები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტშიც იმყოფებოდნენ, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან ერთად საჯარო დისკუსიაში მიიღეს მონაწილეობა თემაზე – „სამოქალაქო საზოგადოების როლი საქართველოში“. შეხვედრას, რომელსაც მოდერატორობას ახალგაზრდა ევროპელი ელჩი და მართლმსაჯულების გაძლიერებისა და სამართლებრივი განათლების ცენტრის სამართლებრივი მკვლევარი ნიკა გური-

გრანტი ასევე, სამხედრო მოსამართლეა აშშ-ის სამხედრო სისტემაში და იხილავს ამერიკის ჯარში ჩადენილ დანაშაულს. საჯარო ლექციაზე დამსწრე მოსწავლეებს, რომლებიც როგორც წესი ყვარლის პირველი და მეორე საჯარო სკოლებიდან თანაბრად არიან წარმოდგენილი გრანტმა საკუთარი გამოცდილებაც გაუზიარა. შეხვედრის დასრულების შემდეგ კი მონაწილეებს ამერიკის საელჩოსთან სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

ევროკლუბი აგრძელებს აქტიურ მუშაობას. თებერვალში კიდევ ერთი ოფიციალური მიღება გაიმართება, რომელსაც დიპლომატიური კორპუსის წევრებიც დაესწრებიან. თებერვალში, ასევე მემორანდუმს მოეწვევა ხელი, რომლის ფარგლებშიც კლუბი ქალაქ ყვარელში ინგლისურის უფასო კურსებს გახსნის. ასევე, დაგეგმილია ბრიუსელთან ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლო პროგრამის დელეგაციის ვიზიტიც.

მოამზადა ია გიგიაშვილმა

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად ავებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.	დირექტორი ალექსანდრა გიგიაშვილი მოადგილე ნუგზარ ღონიაშვილი	პასუხისმგებელი მდივანი ია გიგიაშვილი კორესპონდენტი დალი ტატულიშვილი	რედაქციის მისამართი: ქ.ყვარალი, კუდიბორის №2 საკონტაქტო ტელეფონი: 22-01-86
--	---	--	---